

სსიპ-შოთა მესხიას ზუგდიდის სასწავლო  
უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს  
2023 წლის 4 აპრილის N 24 დადგენილებით.

## პროფესიული განათლების მასწავლებლის შეფასების ინსტრუქცია

### მუხლი 1. რეგულირების სფერო

წინამდებარე ინსტრუქცია ადგენს სსიპ შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის (შემდგომში „უნივერსიტეტი“) პროფესიული განათლების მასწავლებლის (შემდგომში „მასწავლებელი“) შეფასების ზოგად პრინციპებს, შეფასების პროცედურას, შეფასების სუბიექტთა უფლება-მოვალეობებს, შეფასების შედეგების გასაჩივრებისა და ანგარიშგების წესებს, პროფესიული განათლების მასწავლებლების მუშაობის შედეგების შეფასებას.

### მუხლი 2. ტერმინთა განმარტება:

**შეფასება** - შესრულებული სამუშაოს ეფექტიანობის გაზომვა. მასწავლებელთა საქმიანობის მართვა, კარიერული განვითარების, პროფესიული უნარ-ჩვევების ამაღლების, წახალისების, პროფესიული განვითარების საჭიროებებისა და სხვა სამართლებრივი შედეგების წარმოშობის წინაპირობების დადგენა და საქმიანობის ეფექტიანობის გაუმჯობესება.

**შესაფასებელი პირი** - პროფესიული განათლების მასწავლებელი, რომლის საქმიანობის შეფასებაც ხორციელდება.

**შემფასებელი პირი** - პერსონალი ან პროფესიული სტუდენტი, რომელიც უფლებამოსილია შეაფასოს მასწავლებლის საქმიანობა მისი ფუნქცია-მოვალეობებიდან გამომდინარე.

**შეფასების კრიტერიუმი** - შესრულებული სამუშაოს გაზომვის მიზნით შემუშავებული კომპეტენციების ერთობლიობა პოზიციის სპეციფიკის გათვალისწინებით.

### მუხლი 3. შეფასების პრინციპები და პერიოდულობა

1. შეფასება წარმოებს სამართლიანობის, ობიექტურობის, გამჭვირვალობის, მიუკერძოებლობის, ინტერესთა შეუთავსებლობის დაუშვებლობის, ნდობის დასაქმებულისა და დამსაქმებლის ინტერესთა თანაზომიერების პრონციპების დადგენით.
2. შეფასების პროცესში მონაწილეობენ: პროფესიული განათლების დეპარტამენტის წარმომადგენლები, პროგრამის ხელმძღვანელი და პროფესიული სტუდენტი;
3. თითოეული მასწავლებლისთვის შეფასება ხორციელდება წელიწადში ერთჯერ პროგრამის/მოდულის განხორციელების ვადის გათვალისწინებით.

#### **მუხლი 4. შეფასების პროცესში მონაწილე მასწავლებლის უფლება-მოვალეობანი**

1. შეფასების პროცესში მონაწილე მასწავლებელს უფლება აქვს:
  - ა) მოითხოვოს შეფასების პროცესის ობიექტურად, მიუკერძოებლად, სამართლიანად და გამჭვირვალედ ჩატარება;
  - ბ) გაეცნოს შეფასების პერიოდში შექმნილ დოკუმენტურ მასალებს, წარადგინოს დამატებითი დოკუმენტები, როგორც მატერიალური, ასევე ელექტრონული ფორმით.
  - გ) შეფასების თითოეულ ეტაპზე თავისუფლად და შეუზღუდავად გამოხატოს საკუთარი მოსაზრებები, წარადგინოს შესაბამისი განმარტება წერილობით, როგორც მატერიალური, ასევე ელექტრონული ფორმით;
  - დ) გაასაჩივროს შეფასების შედეგები.
  
2. მასწავლებელი ვალდებულია:
  - ა) ჯეროვნად და კეთილსინდისიერად განახორციელოს დაკისრებული მოვალეობები და შეფასების შუფერხებლად წარმართვისთვის წარადგინოს მასალები ასეთის საჭიროების შემთხვევაში;
  - ბ) ხელი შეუწყოს შეფასების პროცესის ობიექტურად განხორციელებას;
  - გ) მოთხოვნის შემთხვევაში წარუდგინოს ნებისმიერი ინფორმაცია/დოკუმენტაცია რაც დაკავშირებულია შეფასების პროცესთან;
  - დ) თავი შეიკავოს ნებისმიერი ქმედებისგან, რომელიც პირდაპირ თუ არაპირდაპირ ხელს შეუშლის შეფასების პროცესის სამართლიანად განხორციელებას;
  - ე) შეასრულოს მითითებები და რეკომენდაციები შეფასების შედეგების შემდგომი გაუმჯობესების მიზნით;
  - ვ) შესაფასებელი მასწავლებლის მიერ შეფასებაზე უარის თქმა განიხილება როგორც დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომა.

#### **მუხლი 5. შეფასების შედეგების გასაჩივრება და განმეორებითი გასაუბრების ჩატარება**

1. მასწავლებელი უფლებამოსილია შეფასების შედეგების გაცნობის დღიდან 5 სამუშაო დღის განმავლობაში, თუ იგი არ ეთანხმება საბოლოო შეფასების შედეგს, მიმართოს პროფესიული განათლების დეპარტამენტის უფროსს და მოითხოვოს დაკუმენტური მასალის შეფასებისა და შედეგების განხილვის ხელმეორედ ჩატარების უზრუნველყოფა.
2. განმეორებითი განხილვა მასწავლებელთან გასაუბრებისა და დოკუმენტური მასალის შეფასებით უნდა ჩატარდეს ამ წესით გათვალისწინებული პროცედურების დაცვით. შესაფასებელი პირის მოთხოვნიდან არაუმეტეს 5 სამუშაო დღისა.

## **მუხლი 6. შეფასების სამართლებრივი შედეგები**

1. შეფასებას შესაძლოა მოჰყვეს შემდეგი შედეგები:

ა) მასწავლებლის პროფესიული განვითარების საჭიროების განსაზღვრა;

ბ) ფინანსური ან/და არაფინანსური წახალისება;

გ) დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის შეფარდება;

დ) მასწავლებელთან შრომითი ურთიერთობის შეწყვეტა ზედიზედ ორჯერ უარყოფითი შეფასების შესაბამისად, აღნიშნულის თაობაზე გადაწყვეტილებას იღებს სასწავლო უნივერსიტეტის რექტორი.

ე) სასწავლო უნივერსიტეტის შინაგანაწესით გათვალისწინებული წახალისებისა და ადმინისტრაციული სახდელის სხვა ფორმა.

## **მუხლი 7. შეფასების ფორმის სტრუქტურა**

1. მასწავლებლის საქმიანობის შეფასებისთვის გამოიყენება შეფასების კითხვარი, რომელიც მოიცავს საქმიანობის სპეციფიკის შესაბამის მნიშვნელოვან კრიტერიუმებს. თავის მხრივ კრიტერიუმებს მინიჭებული აქვს ქულები (იხ. დანართი 1)
2. კრიტერიუმების შეფასების ქულების ერთობლიობა განსაზღვრავს კრიტერიუმის საბოლოო შეფასების ქულას.
3. კრიტერიუმების შეფასების ქულების ერთობლიობა განსაზღვრავს შეფასების საერთო ქულას.

## **მუხლი 8. შეფასების პროცესის ადმინისტრირება და შედეგების ანალიზი**

1. შეფასების ფორმას ავსებს პროფესიული განათლების ცენტრის უფროსი, პროგრამის ხელმძღვანელი და პროფესიული სტუდენტი.
2. პროფესიული სტუდენტის ანონიმურობა დაცულია
3. შევსებული შეფასების ფორმების შედეგები ეგზავნება პროფესიული განათლების დეპარტამენტის უფროსს.
4. პროფესიული განათლების დეპარტამენტის უფროსი შეფასების შედეგებს უგზავნის ხარისხის განვითარების სამსახურს ანალიზის მიზნით;
5. ხარისხის განვითარების სამსახური ახორციელებს შედეგების ანალიზს და პროფესიული განათლების დეპარტამენტთან, პროგრამის ხელმძღვანელთან განიხილავს შეფასების შედეგებს.
6. ხარისხის განვითარების სამსახური პროფესიული განათლების დეპარტამენტთან თანამშრომლობით შეიმუშავებს რეკომენდაციებს/საჭიროებებს და შესაბამისი ანგარიშით მიმართავს რექტორს.

7. შეფასების შედეგებს (ქულებს) პროფესიული განათლების დეპარტამენტი უგზავნის მასწავლებელს პირად ელექტრონულ ფოსტაზე გაცნობისა და შემდგომი რეაგირების მიზნით.
8. შეფასების შედეგების ანალიზის შემდგომ საჭიროებისამებრ განხორციელდება მასწავლებლებთან საერთო ან/და ინდივიდუალური შეხვედრა მომდევნო შეფასების პერიოდში განსახორციელებელ აქტივობებზე და გეგმებზე, პროფესიუ განვითარების საჭიროებაზე და სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე, რომელიც უკავშირდება პროფესიულ საქმიანობას.

### **მუხლი 9. ინსტრუქციის დამტკიცება და დასაქმებულისთვის მისი გაცნობა**

1. ინსტრუქცია ძალაშია დამტკიცებისთანავე.
2. დამტკიცებული და ძალაში შესული ინსტრუქცია გასაცნობად გადაეცემა ყველა მასწავლებელს ელექტრონული ან/და წერილობითი ფორმით პირად ან სამსახურის ელექტრონულ ფოსტაზე ან სხვა სათანადო საკომუნიკაციო ფორმით, რაც ითვლება მასწავლებლისათვის ინსტრუქციის გაცნობად.

### **მუხლი 10. ცვლილებებისა და დამატებების შეტანა**

1. უნივერსიტეტს უფლება აქვს ნებისმიერ დროს შეცვალოს ინსტრუქცია ცალმხრივად კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით.
2. ინსტრუქციაში ცვლილებები ან/და დამატებების შეტანა წარმოებს აკადემიური საბჭოს მიერ.

**პროფესიული განათლების მასწავლებლის შეფასების ფორმა პროფესიული განათლების  
ზუგდიდის/სენაკის ცენტრის უფროსის მიერ**

პროფესიული განათლების მასწავლებლის სახელი გვარი: \_\_\_\_\_

**(1 ქულა-ძალიან უკმაყოფილო, 5 ქულა-ძალიან კმაყოფილი)**

შეფასების ინდიკატორი	შეფასების ქულები (1 ქულა- ძალიან უკმაყოფილო, 5 ქულა- ძალიან კმაყოფილი)				
მასწავლებლის პორტფოლიოს დროული წარმოება (კალენდარული გეგმა, შეფასების ინსტრუმენტები)	□ 1	□ 2	□ 3	□ 4	□ 5
ვალიდაციისა და შეფასების პროცესის დროული უზრუნველყოფა	□ 1	□ 2	□ 3	□ 4	□ 5
სტუდენტის პორტფოლიოს წარმოება (შეფასების მტკიცებულებები, უწყისი)	□ 1	□ 2	□ 3	□ 4	□ 5
შეფასების მტკიცებულებების/უწყისის დროული ჩაბარება	□ 1	□ 2	□ 3	□ 4	□ 5
პროგრამის განვითარების მიზნით განხორციელებულ აქტივობებში მონაწილეობა					

პროფესიული განათლების მასწავლებლის საბოლოო შეფასება (ქულა): \_\_\_\_\_

შემფასებელი: \_\_\_\_\_

**პროფესიული განათლების მასწავლებლის შეფასების ფორმა პროგრამის ხელმძღვანელის მიერ**

პროფესიული განათლების მასწავლებლის სახელი გვარი: \_\_\_\_\_

(1 ქულა-ძალიან უკმაყოფილო, 5 ქულა-ძალიან კმაყოფილი)

შეფასების ინდიკატორი	შეფასების ქულები (1 ქულა- ძალიან უკმაყოფილო, 5 ქულა- ძალიან კმაყოფილი)				
კალენდარული გეგმისა და შეფასების ინსტრუმენტების დროულად წარმოდგენა	<input type="checkbox"/> 1	<input type="checkbox"/> 2	<input type="checkbox"/> 3	<input type="checkbox"/> 4	<input type="checkbox"/> 5
შემუშავებული შეფასების ინსტრუმენტის ხარისხი	<input type="checkbox"/> 1	<input type="checkbox"/> 2	<input type="checkbox"/> 3	<input type="checkbox"/> 4	<input type="checkbox"/> 5
შეფასების მტკიცებულებების/უწყისის დროული ჩაბარება	<input type="checkbox"/> 1	<input type="checkbox"/> 2	<input type="checkbox"/> 3	<input type="checkbox"/> 4	<input type="checkbox"/> 5
თანამშრომლობის მზაობა, გუნდურობა	<input type="checkbox"/> 1	<input type="checkbox"/> 2	<input type="checkbox"/> 3	<input type="checkbox"/> 4	<input type="checkbox"/> 5
თვითგანვიტარებაზე მუდმივი ზრუნვა, ინიციატივები	<input type="checkbox"/> 1	<input type="checkbox"/> 2	<input type="checkbox"/> 3	<input type="checkbox"/> 4	<input type="checkbox"/> 5

პროფესიული განათლების მასწავლებლის საბოლოო შეფასება: \_\_\_\_\_

შემფასებელი: \_\_\_\_\_

**პროფესიული განათლების მასწავლებლის შეფასების ფორმა პროფესიული სტუდენტის მიერ**

**პროფესიული განათლების მასწავლებლის სახელი გვარი:** \_\_\_\_\_

**(1 ქულა-სრულიად არ ვეთანხმები, 5-სრულიად ვეთანხმები)**

შეფასების ინდიკატორი	შეფასების ქულები (1 ქულა- ძალიან უკმაყოფილო, 5 ქულა- ძალიან კმაყოფილი)				
პროფესიული განათლების მასწავლებელი არ აცდენს ლექციას	<input type="checkbox"/> 1	<input type="checkbox"/> 2	<input type="checkbox"/> 3	<input type="checkbox"/> 4	<input type="checkbox"/> 5
მასწავლებელი ახდენს სტუდენტების აღრიცხვას	<input type="checkbox"/> 1	<input type="checkbox"/> 2	<input type="checkbox"/> 3	<input type="checkbox"/> 4	<input type="checkbox"/> 5
იმ შემთხვევაში თუ მასწავლებელი აცდენს ლექციას, ყოველთვის წინასწარ ვართ ინფორმირებული ამის შესახებ	<input type="checkbox"/> 1	<input type="checkbox"/> 2	<input type="checkbox"/> 3	<input type="checkbox"/> 4	<input type="checkbox"/> 5
პროფესიული განათლების მასწავლებელი ყოველთვის ახდენს გაცდენილი ლექციის / პრაქტიკული მეცადინეობის აღდგენას	<input type="checkbox"/> 1	<input type="checkbox"/> 2	<input type="checkbox"/> 3	<input type="checkbox"/> 4	<input type="checkbox"/> 5
პროფესიული განათლების მასწავლებელი არ აგვიანებს ლექციაზე	<input type="checkbox"/> 1	<input type="checkbox"/> 2	<input type="checkbox"/> 3	<input type="checkbox"/> 4	<input type="checkbox"/> 5
პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს საგნის დრმა ცოდნა	<input type="checkbox"/> 1	<input type="checkbox"/> 2	<input type="checkbox"/> 3	<input type="checkbox"/> 4	<input type="checkbox"/> 5
სასწავლო კურსის დასაწყისში, მასწავლებელმა გასაგებად გაგვაცნო მოდული, სწავლის შედეგები, შეფასების სისტემა	<input type="checkbox"/> 1	<input type="checkbox"/> 2	<input type="checkbox"/> 3	<input type="checkbox"/> 4	<input type="checkbox"/> 5
მასწავლებელი იყენებს სწავლების მრავალფეროვან მეთოდებს (პრეზენტაციები, დისკუსიები, შემთხვევის ანალიზი და სხვა)	<input type="checkbox"/> 1	<input type="checkbox"/> 2	<input type="checkbox"/> 3	<input type="checkbox"/> 4	<input type="checkbox"/> 5
მასწავლებელი გასაგებად ხსნის ახალ მასალას / თემას	<input type="checkbox"/> 1	<input type="checkbox"/> 2	<input type="checkbox"/> 3	<input type="checkbox"/> 4	<input type="checkbox"/> 5
მასწავლებელი ახერხებს სტუდენტების დაინტერესებას	<input type="checkbox"/> 1	<input type="checkbox"/> 2	<input type="checkbox"/> 3	<input type="checkbox"/> 4	<input type="checkbox"/> 5
მასწავლებელი შედეგების დადასტურების თარიღს გვაცნობს შეფასებამდე მინიმუმ 3 დღით ადრე	<input type="checkbox"/> 1	<input type="checkbox"/> 2	<input type="checkbox"/> 3	<input type="checkbox"/> 4	<input type="checkbox"/> 5
მასწავლებელი შეფასების შედეგებს გვაცნობს არაუგვიანეს შეფასებიდან 3 დღისა	<input type="checkbox"/> 1	<input type="checkbox"/> 2	<input type="checkbox"/> 3	<input type="checkbox"/> 4	<input type="checkbox"/> 5
მასწავლებელი საჭიროების შემთხვევაში გვიწევს დამატებით კონსულტაციას	<input type="checkbox"/> 1	<input type="checkbox"/> 2	<input type="checkbox"/> 3	<input type="checkbox"/> 4	<input type="checkbox"/> 5
მასწავლებელი შეფასებას ახორციელებს სამართლიანად	<input type="checkbox"/> 1	<input type="checkbox"/> 2	<input type="checkbox"/> 3	<input type="checkbox"/> 4	<input type="checkbox"/> 5
მასწავლებელი პატივისცემით ეპყრობა სტუდენტებს	<input type="checkbox"/> 1	<input type="checkbox"/> 2	<input type="checkbox"/> 3	<input type="checkbox"/> 4	<input type="checkbox"/> 5
მასწავლებელი ლექციაზე ახდენს ჩვენს მოტივაციას	<input type="checkbox"/> 1	<input type="checkbox"/> 2	<input type="checkbox"/> 3	<input type="checkbox"/> 4	<input type="checkbox"/> 5
მასწავლებელი არის ინოვატორი	<input type="checkbox"/> 1	<input type="checkbox"/> 2	<input type="checkbox"/> 3	<input type="checkbox"/> 4	<input type="checkbox"/> 5

**პროფესიული განათლების მასწავლებლის საბოლოო შეფასება:** \_\_\_\_\_